საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ბრძანება № 61

თბილისი „03“ 08 2018 წ.

„ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებისთვის გრიფის მინიჭების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 24 ივლისის N25 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლის, 62-ე მუხლისა და 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 03 აგვისტოს N974425 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებისთვის გრიფის მინიჭების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 24 ივლისის N25 ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან ბათილად იქნეს ცნობილი აღნიშნული ბრძანებით განსაზღვრული დანართის შემდეგი გრაფები:

მათემატიკა	მე მიყვარს მათემატიკა	სავალდებულო	I-IV	ქართული	შპს „ელფის გამომცემლობა“ (ს/კ 208180029)	კელერ, პფაფი	„მასწავლებლის წიგნი, მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული (I-II კლასებისათვის)“	ქართული	ქართულენოვანი	228	–

მათემატიკა	მათემატიკა	სავალდებულო	V-VI	მე მიყვარს მათემატიკა	შპს „ელფის გამომცემლობა“ (ს/კ 208180029)	მარტინა ლენცე, მაქს შრიოდერ, ბერნდ ვურდი, ალექსანდრე ვინანდი	მასწავლებლის წიგნი, მოსწავლის წიგნი	ქართული	ქართულენოვანი	256	–

2. შეტანილ იქნეს ცვლილება „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებისთვის გრიფის მინიჭების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 24 ივლისის N25 ბრძანებაში და ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან ამოღებულ იქნეს აღნიშნული ბრძანებით განსაზღვრული დანართის 228-ე და 256-ე განაცხადის ID-ის გრაფები.

3. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

თეიმურაზ მურღულია
მინისტრის მოადგილე